განკარგულება:**გ-81.81222784**
თარიღი:**05/10/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №54

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ალპანაში მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ89.14.28.006), სოფ. ორბელში მდებარე ერთსართულიანი ყოფილი ამბულატორიის შენობის (ს/კ89.04.27.227) და დ. აღმაშენებლის ქუჩაზე დაუმთავრებელი კორპუსის დემონტაჟის შედეგად მიღებული შემდეგი საამშენებლო მასალები: 1. გადახურვის სქელტანიანი ფილები 23 (ოცდასამი) ცალი 2. ფუნდამეტის ბლოკი 60 (სამოცი) ცალი და რკინა-ბეტონის სარტყლის ფრაგმენტები სხვადასხვა ზომის 10 (ათი) ცალი საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 05 აგვისტოს №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე- 2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე. დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების-სოფ.ალპანაში მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ89.14.28.006), სოფ. ორბელში მდებარე ერთსართულიანი ყოფილი ამბულატორიის შენობის (ს/კ89.04.27.227) და დ. აღმაშენებლის ქუჩაზე დაუმთავრებელი კორპუსის დემონტაჟის შედეგად მიღებული შემდეგი საამშენებლო მასალები: 1. გადახურვის სქელტანიანი ფილები 23 (ოცდასამი)ცალი 2. ფუნდამეტის ბლოკი 60 (სამოცი) ცალი და რკინა-ბეტონის სარტყლის ფრაგმენტები სხვადასხვა ზომის 10 (ათი) ცალი საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ.“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 05 აგვისტოს №42 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ალპანაში მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ89.14.28.006) და სოფ. ორბელში მდებარე ერთსართულიანი ყოფილი ამბულატორიის შენობის (ს/კ89.04.27.227) საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის შესახებ.“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შეტანილ იქნას საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ. ალპანაში მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ს/კ89.14.28.006) და სოფ. ორბელში მდებარე ერთსართულიანი ყოფილი ამბულატორიის შენობა (ს/კ89.04.27.227).“

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი